ოქმი:**ო03.37222301**
თარიღი:**18/08/2022**

ოქმი № 17

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2022 წელი, 17 აგვისტო

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ:კომისიის წევრები: ლ.ბიგვავა, ე. გორდელაძე, ნ. ღაჟონია, ს.ქარცივაძე, გ.მდინარაძე, ბ.თოიძე, ტ.მგელაძე, ბ.მელუა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი ხ. სურგულაძე

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, ვრცლად ისაუბრა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“ აღნიშნა, რომ პროექტი მიზნად ისახავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფარგლებში სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ზრუნვის სისტემიდან გასული პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, მარჩენალდაკარგული პირები, მარტოხელა მშობლები, ახალგაზრდები, მარტოხელა ხანდაზმული პირები, ოჯახური პირობების გამო, დიდი ხნის მანძლზე დაუსაქმებელი დიასახლისები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები და ა.შ) ჩართულობას სოციალური მიზნების მქონე სხვადასხვა პროექტებში, ასევე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობას. გ.ჩავლეშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი, საკრებულოს გადაწყვეტილებით დგას საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე. საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დროს, შეკითხვები და შენიშვნები საკრებულოს აპარატში არ დარეგისტრირებულა. ასევე, საკითხთან დაკავშირებით, ვრცლად ისაუბრა თანამომხსენებელმა ხ.სურგულაძემ. მან განმარტა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას, ასევე, პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“ შეტანილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი